Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№24, ივნისი, 2023

"სახელისუფლებო ევროსკეპტიციზმი საქართველოსა და უნგრეთში"

თათია ჭანტურია

ჯიმი ნიჟარაძე

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tatia.chanturia647@sps.tsu.ge

E-mail: jimi.nizharadze904@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ახალ ფაზაში გადასვლის შემდეგ ისეთ ქვეყნებში, სადაც საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო რუსული პროპაგანდა და ზოგადად რუსული გავლენები როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში, ისე სახელისუფლებო პირებში საკმაოდ გააქტიურდა ევროკავშირის საწინააღმდეგო განცხადებები, რაც არსებითად სახელისუფლებო ევროსკეპტიციზმში გამოვლინდა. ევროკავშირის პოლიტიკისა და ხედვების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ევროპამ სანქციების პაკეტებზე დაიწყო საუბარი და არამხოლოდ. ისეთი ორი ქვეყანა, როგორებიცაა საქართველო და უნგრეთი, საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს მათი სახელისუფლებო პირების განცხადებებითა და იმ დეფორმირებული „კონსერვატიული“ აქცენტებით, რომლებსაც თითოეული მათგანი სვამს და გამოყოფს. კვლევის მიზანს წარმოადგენს კორელაციის დადგენა, თუ რა არსებითი მსგავსება იკვეთება უნგრეთისა და საქართველოს უმაღლესი სახელისუფლებო პირების განცხადებებში, კერძოდ, ვიქტორ ორბანისა და მისი „Fidesz”-ის, ხოლო, მეორე მხრივ, ირაკლი ღარიბაშვილისა და „ქართული ოცნების“ საფუძველზე. ხელისუფლებათა ევროსკეპტიკურობის ხარისხის დადგენას საკვანძო და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რაც, ერთი მხრივ, ტაგარტისა და შჩერბიაკის სქემით, ხოლო, მეორე მხრივ, კოპეცკისა და მუდეს უფრო კომპლექსური კლასიფიკაციითაა შესაძლებელი. კვლევის ფარგლებში ჩატარდა თვისებრივი მეთოდის სიღრმისეული ნახევრად სტრუქტურიზებული ინტერვიუ როგორც პოლიტიკოსებთან, ისე სხვადასხვა ექსპერტთან. ასევე გაანალიზდა რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები, რომლებმაც კვლევის შედეგებში გამოავლინა მსგავსებები, ევროსკეპტიკურობის კუთხით, ორივე ქვეყნის ხელისუფლებაში. არსებულმა პირველადმა შედეგებმა მკაფიოდ დაგვანახა, რომ უნგრეთის მსგავსად, საქართველოს ხელისუფლება წარმოადგენს რბილ ევროსკეპტიკურ ძალას. ასევე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხის კვლევა ხელს შეუწყობს საქართველოში ევროსკეპტიციზმის მიმართულებით აკადემიური დიალოგის გამართვას.

საკვანძო სიტყვები: ევროსკეპტიციზმი, ხელისუფლება, ევროკავშირი, დეფორმირებული კონსერვატიზმი, რუსული პროპაგანდა.

შესავალი

ევროკავშირის მასშტაბიანი გაფართოებების შემდეგ, რაც ძირითადად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებს შეეხო, დაიბადა უამრავი პრობლემა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ევროსკეპტიკური დამოკიდებულებების გაჩენას. (Brack & Startin, 2015).

ვიქტორ ორბანის უნგრეთი ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, ევროსკეპტიკური ძალების კუთხით (Hargitai, 2020). ხელისუფლებაში თვალსაჩინოდ გვხვდება ევროსკეპტიკური ძალა, რომელიც სისტემატურად თავის კონსერვატიულ ფრთასთან ერთად ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობასა და ერთიან გადაწყვეტილებას, რაც აზიანებს ევროგაერთიანების მომავალსა და სიცოცხლისუნარიანობას, ასევე ერთიანობას, რომელიც უმნიშვნელოვანესი და კრიტიკული ასპექტია, ევროგაერთიანების სიცოცხლისუნარიანობის კუთხით (Végh, Hungary: The EU's troublemaker, 2016).

უნგრეთისა და საქართველოს სახელისუფლებო რიტორიკას შორის ხშირად მოვისმენთ მსგავს და ზოგჯერ იდენტურ განცხადებებს (CPAC, 2023). რომლებიც თავისი შინაარსით საკმაოდ ეწინააღმდეგება ევროპული ოჯახის პრინციპებს (სამხარაძე, 2023). მიგვაჩნია, რომ არსებული კვლევა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დავინახოთ მსგასვება-განსხვავებები საქართველოსა და უნგრეთის ხელისუფლებების ქმედებებსა და რიტორიკას შორის ევროსკეპტიკურობასთან მიმართებით და ასევე დაგვეხმარება მომავლის განსაზღვრაში, თუ რა შესაძლო შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს უნგრეთის მსგავსად პოზიციონირებამ. ქვეყნის ევროატლანტიკური და ევროპული მისწრაფებები, რომლებიც მუდმივი საფრთხის ქვეშაა, კიდევ უფრო ზარალდება ხელისუფლებისა და სხვადასხვა რადიკალური ჯგუფის „პოტენციური“ ევროსკეპტიკური გავლენებითა და ქმედებებით.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად იყო მაპროვოცირებელი იმისა, რომ ევროსკეპტიციზმის გავლენების შესახებ დისკუსიები განახლებულიყო, „პოტენციურად“ წევრი ქვეყნების კვლევა გაახშირა, ამ ფონზე კი საქართველოს საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო (Tabatadze, 2022). აღნიშნული საკითხი, მართლაც, პრობლემატური და მწვავეა, რადგან არ არსებობს ერთი კონკრეტული შეხედულება იმის თაობაზე, არის თუ არა საქართველოს ხელისუფლება ევროსკეპტიკური თავისი განცხადებებითა და ქმედებებით, და საერთოდ, რამდენად მიესადაგება ერთმანეთს უნგრეთისა და საქართველოს ქეისები, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეს უკანასკნელი განვიხილოთ და ობიექტურად შევაფასოთ.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის დასაწყისში გაანალიზებულია ორი საკვანძო სტატია, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში უშუალოდ ევროსკეპტიციზმის, როგორც ცნების განსაზღვრებასა და პარტიულ დამოკიდებულებებს ეძღვნება. რამდენიმე მკვლევარმა, რომლებიც იკვლევენ ევროსკეპტიციზმთან დაკავშირებულ საკითხებს, შემოგვთავაზა გარკვეული კლასიფიკაციები. ამ მხრივ გამოიკვეთა სტატია, რომელიც გამოყოფს „რბილ“ და „ხისტ“ ევროსკეპტიკურობასა და მათ

განსაზღვრებას (Taggart & Szczerbiak, 2002). ამ დაყოფით შესაძლებელია ევროსკეპტიციზმის, როგორც ცნების, უკეთ გაშიფვრა და მთელი რიგი მოქმედებებისა თუ ნარატივების შეფასება, რომელიც ორ კატეგორიაზე ნაწილდება. გაერთიანებები ან ინდივიდები, რომლებიც აშკარად და გაცხადებულად აღიარებენ და მიუთითებენ ევროგაერთიანების დასასრულსა და იმ კონკრეტულ გარემოებაზე, რომ ეს კავშირი ვერ ართმევს თავს საკუთარ მოვალეობებს, იდენტიფიცირდებიან/კლასიფიცირდებიან, როგორც „ხისტი“ ევროსკეპტიკები, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც აღიარებს ევროკავშირის იდეურ სიკეთეს, თუმცა ეწინააღმდეგება მას ტექნიკურ საკითხებში, იდენტიფიცირდება, როგორც „რბილი“ ევროსკეპტიკი (Taggart & Szczerbiak, 2002). კოპეცკმა და მუდემ შემოგვთავაზეს საკმაოდ საინტერესო სტატია, რომელშიც ევროსკეპტიკურობა რამდენიმე ნაწილად დაყვეს და წარმოგვიდგინეს როგორც ევროოპტიმისტები მისი ნაწილებით, ისე ევროპესიმისტები თავისი ნიშნებითა და სახეებით (Mudde & Kopecky, 2002).

კოპეცკისა და მუდეს კლასიფიკაცია	ევროფილები (პრო-ინტეგრაცია)	ევროფობები (ანტი-ინტეგრაცია)
ევროოპტიმისტები (პრო-ტრაექტორია)	ევროენთუზიასტები	ევროპრაგმატულები
ევროპესიმისტები (ანტი-ტრაექტორია)	ევროსკეპტიკოსები	ევროუარმყოფელები

ცხრილი #1 (წყარო:საკუთარი)

მუდესა და კოპეცკის ეს კლასიფიკაცია გვაძლევს შესაძლებლობას ერთი აქტორი ფაქტობრივად ჩავსვათ რამდენიმე კლასიფიკაციაში, რისი მთავარი ღირსებაც ისაა, რომ გვაძლევს ლავირების საშუალებას. კლასიფიკაცია ორ შრეს მოიცავს, ერთი მხრივ, ევროოპტიმისტებსა და ევროპესიმისტებს, რაც არსებითად პრო-ტრაექტორიას (ოპტიმისტები) და ანტი-ტრაექტორიას (პესიმისტები), ხოლო, მეორე მხრივ, ევროფილებსა და ევროფობებს მოიცავს, რაც პრო-ინტეგრაციასა და ანტი-ინტეგრაციას მოიცავს. გარკვეული პოლიტიკური გაერთიანება შესაძლოა იყოს ტრაექტორიის მომხრე, თუმცა ეწინააღმდეგებოდეს ინტეგრაციას და პირიქით (Mudde & Kopecky, 2002). საქმე ისაა, რომ პირველი კლასიფიკაცია, რომელიც გამოყოფს მხოლოდ ორ კატეგორიას, რაც აბსოლუტურ აზროვნებას უფრო ემსგავსება, შუარგოლი არ არსებობს (მაგალითად, მხოლოდ ან ცხელი, ან ცივი და არ განიხილება თბილის არსებობა), მეორე მხრივ, კოპეცკისა და მუდეს კლასიფიკაციაში არსებობს, ე.წ. შუა მოცემულობა, რაც არსებითად აიოლებს ამა თუ იმ აქტორის შეფასებას არსებული კლასიფიკაციით. ამ კალსიფიკაციის საფუძველზე შესაძლებელია გაანალიზდეს უნგრული და ქართული მხარეების ევროსკეპტიკურობის ხარისხი და მისი სიმწვავე (Mudde & Kopecky, 2002).

სტატიის პირველ ნაწილში ასევე განხილულია ძირითადი საკითხები, თუ როგორ აზიანებს ევროსკეპტიციზმი ევროინტეგრაციას და როდიდან დაიწყო ეს პროცესი ევროპაში და რა დროის მონაკვეთია მისი კულმინაციისა და ზეობის დრო. ნახსენებია ბრიტანეთის გავლენა და ევროსკეპტიციზმის აქტუალურობა ევროკავშირის კონკრეტულ რეგიონებში (Brack & Startin, 2015). სტატიის პირველ ნაწილში ასევე განხილულია უნგრეთის ევროსკეპტიკურობა და ზოგადად რაში ვლინდება უნგრული ევროსკეპტიციზმი და რა გავლენა აქვს მას (Archick, 2023). საუბარია იმაზე, თუ დაახლოებით რა პერიოდიდან მოყოლებული აქტიურდება უნგრეთში ევროსკეპტიკური გავლენები და რა ძირითადი მოვლენები იყო ამ ყოველივეს მაპროვოცირებელი. ასევე საუბარია უნგრეთზე, როგორც ევროკავშირის დამაბრკოლებელზე, რომელიც სხვადასხვა სქემითა და ტექნიკური საშუალებით ბლოკავს და უკუაგდებს ევროგაერთიანების კანონმდებლობებსა და ერთიან გადაწყვეტილებებს - უნგრეთი ფაქტობრივად წარმოადგენს ევროსკეპტიკური ნარატივის მქონე ქვეყანათა ფლაგმანს. ორბანის ხელისუფლება, როგორც თავად ორბანი გამოირჩევა მრავალი ანტიდასავლური და ანტიევროპული გზავნილებით, მნიშვნელოვნად აზარალებს ევროგაერთიანების ერთიანობასა და საერთო მიზანს (Végh, Hungary: The EU's troublemaker, 2016).

საკმაოდ საინტერესო კავშირი დადგინდა „Jobbik"-სა და „Fidesz" შორის. არსებული სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ იმის საფუძველზე, თუ როგორ ინტერაქტიაში იმყოფებიან ესა თუ ის პარტიები შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „რბილი" ევროსკეპტიკური ან „ხისტი" ევროსკეპტიკური ძალების გამოაშკარავება შესაძლებელია იმით, თუ როგორ რეაგირებს ესა თუ ის ძალა სხვადასხვა რადიკალური ჯგუფზე (Hargitai, 2020). თუკი ხელისუფლება „ხისტ" ევროსკეპტიკებს თვალნათლივ უქმნის განვითარებისა და გაძლიერების პლაცდარმს, ეს აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ესა თუ ის ძალა აშკარად ევროსკეპტიკურია. ასევე იკვეთება შესამჩნევი კავშირი უნგრეთში, მიუხედავად კონკურენციისა, რადიკალურ მემარჯვენე ფრთასა და ხელისუფლებას შორის. უნგრული ხელისუფლება ხშირად ხელსაც კი უმართავს ასეთ ჯგუფებს, რაც მათთვის ხელსაყრელი სივრცის შექმნითა და განვითარების პლაცდარმით შემოიფარგლება (LÁZÁR, 2015). ფაქტობრივად რადიკალური მემარჯვენე ძალებისა და ხელისუფლების ინტერაქციის საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რა არსებითი ღირებულებებისა და მისწრაფებების მქონეა ესა თუ ის პოლიტიკური აქტორი ევროსკეპტიკურობის მიმართულებით. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პარტიათა ურთიეთობების ანალიზზე, მეტად სავარაუდოა, რომ ერთი და იმავე ან მსგავსი პოლიტიკური გემოვნების მქონე პარტიები, მიუხედავად კონკურენციისა, უფრო მეტად წაახალისებენ ერთმანეთს, ვიდრე განსხვავებული ღირებულებების მქონე პარტიები (Hargitai, 2020). ამგვარად, არსებული ანალიზით შესაძლებელია დადგინდეს ღარიბაშვილისა და ზოგადად ქართული ოცნების „ევროსკეპტიკურობა". ამასთან ერთად ევროსკეპტიკურობის დადგენა, ტიბორის აზრით, შესაძლებელია, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ხშირად ითვისებს ხელისუფლება ულტრამემარჯვენეთა ინიციატივებს. უნგრეთის შემთხვევაში აშკარაა, რომ „Jobbik"-ის ანტისაემიგრაციო პოლიტიკის ათვისება სრულად მოხდა „Fidesz"-ის მიერ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხშირად ევროსკეპტიკურ ძალებს ახასიათებს საერთო ინიციატივების ათვისება და მისი ინპლემენტირება (Hargitai, 2020). საქართველოსა და უნგრეთის კონტექსტზეც შესაძლებელია იმავე ანალიზის გამოყენება და დასკვნების გამოტანა.

ასევე არსებული კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ს. ტაბატაძის სტატია, რომელიც ეძღვნება საქართველოში პარტიულ ევროსკეპტიკურობასა და მათ ხარისხს როგორც ღირებულებების კვლევის საფუძველზე, ისე სხვადასხვა პარტიული მანიფესტის ანალიზით (Tabatadze, 2022). არსებული კვლევა გვაძლევს იმაზე ფიქრის საშუალებას, რომ მიუხედავად გაცხადებული „ევროოპტიმისტურობისა", ესა თუ ის ძალა სულაც არ წარმოადგენს პრო-ევროპულ ძალას და, პირიქით, ახალისებს კიდეც მათ.

შეგვიძლია დავინახოთ, რომ ევროსკეპტიციზმის ფენომენი შესაძლოა წარმოჩნდეს რამდენიმე მიმართულებით, მაგალითად, ხელისუფლება შესაძლოა სრულად უჭერდეს მხარს ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკას, თუმცა, მეორე მხრივ, ევროსკეპტიკური ნიშნები იკვეთებოდეს პოლიტიკურ ან კულტურულ ასპექტებში. ფაქტობრივად მრავალშრიანი და მრავალმხრივი ფაქტორების შეერთებით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ევროსკეპტიკურობის სხვადასხვა კომბინაცია. პარტია შესაძლოა პოზიციონირდეს „ხისტ" ევროსკეპტიკად, ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, თუმცა, მეორე მხრივ, არც კულტურულ და არც პოლიტიკურ ნაწილში არ შეინიშნებოდეს ევროსკეპტიკურობა (Taggart & Szczerbiak, 2002). ანალიზისა და რიტორიკაზე დაკვირვების საძუველზე შესაძლებელია იმაზე ვარაუდი, რომ ქართული სახელისუფლებო ძალა, რომელიც თავის მანიფესტში გამოყოფს ევროინტეგრაციის საკითხს და საკუთარი თავის პოზიციონირებას ცდილობს, როგორც პროევროპულ პარტიად, რეალურად წარმოადგენს „რბილ" ევროსკეპტიკურ გაერთიანებას.

ქართული პოპულიზმისა და ოპორტუნიზმის უარყოფითი გავლენა ქვეყნის ევროინტეგრაციის კუთხით აშკარაა (სამხარაძე, 2023). რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ევროინტეგრაციაზე (Silagadze, Is Georgian Populism Eurosceptic, 2020). არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელისუფლება ისეთი ძალების წახალისებითაა დაკავებული, რომლებიც გაცხადებულად მანიპულირებენ საზოგადოებაზე ფსევდორელიგიური ფაქტორებით. ასევე სილაგაძის სტატიაში იკვეთება ისიც, რომ საქართველოს კონტექსტში „მცირე" ევროსკეპტიკურობაც კი ან ირიბად პოზიციონირება, როგორც ევროსკეპტიკური ძალა, „a priori" ნიშნავს ქვეყნის ევროინტეგრაციაზე საბოლოოდ უარის თქმასა და რუსეთთან დაახლოებას (Silagadze, Eurosceptic, therefore, Pro-Russian?, 2021). ამ მოცემულობაში არსებული სტატიებიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქვეყნის ევროსკეპტიკურობა და პოზიციონირება, როგორც „რბილ" ევროსკეპტიკებად, ქვეყნის მომავლისათვის დამაზიანებელია და რუსულ წისქვილზე ასხამს წყალს.

დემოკრატიული კვლევის ინსტიტუტის რაპორტით, რომელიც საზოგადოების განწყობილებაზე ყოველწლიურ კვლევას ატარებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოლერაცია ხელისუფლების განცხადებებზე საზოგადოების ფართო მასებს საერთოდ არ გააჩნია. ხშირია იმაზე საუბარი, რომ არსებული ხელისუფლება იზიარებს ხალხის ინტერესებს, თუმცა უკვე არაერთგზის დადასტურებულია, რომ საზოგადოების ფართო მასა ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად უყურებს ევროკავშირში გაერთიანებასა და ევროპული ოჯახის წევრობას (საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023).

არსებული აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვით, ჩვენ უკეთ შევისწავლეთ კვლევის საგანი და დავადგინეთ, რომ ევროსკეპტიციზმი გარდა პარტიული ან პირადი იდეოლოგიური შეუთავსებლობისა, შესაძლოა გამოვლინდეს რადიკალურ ჯგუფებთან ქცევითი დამოკიდებულების საფუძველზე, მაგალითად, როგორც უნგრეთსა და საქართველოში. ჩვენი წარმოდგენები გავამყარეთ ფაქტებით საქართველოსა და უნგრეთის სახელისუფლებო ევროსკეპტიციზმთან დაკავშირებით და შევისწავლეთ მათი რიტორიკა, ევროსკეპტიკური განცხადებები, პირდაპირი და ირიბი დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ. შევისწავლეთ, თუ როგორ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება ევროსკეპტიკური ნარატივით საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას, მსგავსად ორბანისა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია დადგინდეს რა მსგავსება-განსხვავებები იკვეთება უნგრეთისა და საქართველოს ხელისუფლების რიტორიკას შორის და რა კავშირია ორ ხელისუფლებას შორის ევროსკეპტიკურობის თვალსაზრისით, კერძოდ, ირაკლი ღარიბაშვილისა და ვიქტორ ორბანის რიტორიკის საფუძველზე. შესაბამისად, არსებული მიზნებიდან გამომდინარე, დაისვა რამდენიმე საკვლევი კითხვა;

- რა მსგავსება-განსხვავებაა საქართველოსა და უნგრეთის სახელისუფლებო რიტორიკას შორის?
- რამდენად ევროსკეპტიკურია საქართველოსა და უნგრეთის სახელისუფლებო რიტორიკა?

არსებული კვლევის ფარგლებში და კითხვებზე სრულფასოვანი პასუხების გასაცემად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, სიღრმისეული ნახევრად სტრუქტურიზებული ინტერვიუ. ასევე კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ დოკუმენტის ანალიზი, რომელიც მოიცავს მრავალფეროვანი თეორიული მასალისა და კვლევის გაცნობას, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსსა და სტატისტიკას. სიღრმისეული ინტერვიუ დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა რამდენიმე პოლიტიკოსისა და დარგის ექსპერტის ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საფუძვლიანად დაგვენახა მათი მოლოდინები/პროგნოზები. დოკუმენტის ანალიზი არის კვლევის მთავარი პლაცდარმი, რომლის საფუძველზეც სხვადასხვა რაპორტსა და კვლევას გავეცანით, რაც მოიცავდა მრავალ თეორიულ და სტატისტიკურ მასალას როგორც ევროსკეპტიციზმის თაობაზე, ისე უნგრეთსა და საქართველოში არსებულ მოვლენებსა და ხელისუფლების პირების გადაწყვეტილებებს.

დისკუსია/დებატები

ევროსკეპტიციზმი და მისი სახეები; სად ვეძებოთ „Fidesz“ ?

აუცილებელია, რომ განისაზღვროს ევროსკეპტიციზმის, როგორც ცნების მნიშვნელობა, რადგან მკვლევრებში არაერთი მოსაზრება არსებობს მისი მნიშვნელობისა და ხარისხის, ამის შემდეგ შეევეცდებით უნგრული მხარის იდენტიფიცირებას. ამ საკითხზე მსჯელობა სამეცნიერო წრეებში უკვე მრავალი ათწლეულია მიმდინარეობს, თუმცა ჯერ კიდევ 90-იანი წლების მიწურულს დაიწყო. სამეცნიერო წრეებში არ იყო განსაზღვრული, თუ ზუსტად რა არის ევროსკეპტიკურობა და რა

განცხადებას ან მოქმედებას შეიძლება ვუწოდოთ ევროსკეპტიკური და რას არა. არაჩვეულებრივი კლასიფიკაცია შემოგვთავაზეს სასექსის უნივერსიტეტის პროფესორებმა, რომლებმაც ევროსკეპტიციზმი ორ განსხვავებულ ნაწილად „რბილ“ და „ხისტ“ ევროსკეპტიციზმად დაყვეს (Taggart & Szczerbiak, The Party Politics of Euroscepticism in EU Member and Candidate States, 2002). ფაქტია, რომ სამეცინიერო წრეებში ყველაზე დიდი მოწონება ამ ორი ავტორის კლასიფიკაციამ მოიპოვა და დღეისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება ბევრ ნაშრომსა და კვლევაში. „რბილი“ ევროსკეპტიკური დამოკიდებულება გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვა აქტორი არა ევროკავშირს როგორც იდეას, არამედ მის საკანონმდებლო ბაზას ეწინააღდეგება. სხვაგვარადაა საქმე „ხისტი“ ევროსკეპტიკურობის პირობებში, რითაც ძირითადად ევროპის რადიკალური ფრთის წარმომადგენლები გამოირჩევიან. მათი აზრით, ევროკავშირი მთლიანად უნდა გაქრეს, რადგან ის თავს ვერ ართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებსა და ვალდებულებებს (Taggart & Szczerbiak, The Party Politics of Euroscepticism in EU Member and Candidate States, 2002). ამასთანავე, მათ სახელს უკავშირდება პარტიული მანიფესტებისა და ღირებულებების კვლევა ევროპულ ქვეყნებში, სადაც ისინი სხვადასხვა კვლევითი მექანიზმებითა და შედარების საფუძველზე გვთავაზობდნენ ამა თუ იმ პარტიული გაერთიანების ევროსკეპტიკურ „ხარისხს“ (Taggart & Szczerbiak, 2002). მარტივად რომ ვთქვათ, „რბილი“ ევროსკეპტიკები ევროკავშირს ეწინააღმდეგებიან ტაქტიკურ და ტექნიკურ საკითხებში, ხოლო „ხისტი“ ევროსკეპტიკები ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის შინაარსს. ასევე გვხვდება კოპეცკისა და მუდეს ერთობლივი კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს ორ ბლოკს ევროოპტიმისტებისა და ევროპესიმისტების სახით (Mudde & Kopecky, 2002). მუდესა და კოპეცკის ეს ორი ბლოკი დამატებით იყოფა და ავტორები გვთავაზობენ “ევროუარმყოფელებსა” და “ევროსკეპტიკებს”, რომლებიც ერთობლივად შედიან „ევროპესიმისტების“ კლასიფიკაციაში, ხოლო, მეორე მხრივ, იკვეთება „ევროენთუზიასტებისა“ და „ევროპრაგმატულების“ ნაწილი, რომელიც შედის „ევროოპტიმისტების“ კლასიფიკაციაში, რაც არსებითად მოცემულიცაა პირველ ცხრილში (იხ. ცხრილი 1#), თუმცა მეორე მხრივ, იკვეთება განსხვავებები უშუალოდ კონკრეტულ ჯგუფებს შორის, რაც ძირითადად მეორე ცხრილშია ჩაშლილი (Mudde & Kopecky, 2002).

ევროენთუზიასტები	ევროპრაგმატისტები
მხარს უჭერს ევროინტეგრაციას მხარს უჭერს ევროკავშირის მიმართულებას/პოლიტიკას	ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციას მხარს უჭერს ევროკავშირის პოლიტიკას
ევროსკეპტიკები (უნგრეთის ბლოკი)	ევროუარმყოფელები

მხარს უჭერენ ევროინტეგრაციას ეწინააღმდეგებიან ევოკავშირის პოლიტიკურ კურსს	ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციას უარყოფენ ევროკავშირის პოლიტიკურ კურსს

ცხრილი #2 (წყარო: საკუთარი)

ამ კლასიფიკაციის საშუალებით შესაძლებელი ხდება, რომ უნგრეთისა და საქართველოს რიტორიკა შევუსაბამოთ კონკრეტულ ჩარჩოს და დავარქვათ თავისი სახელი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კვლევებით უნგრეთის მმართველი პარტია აშკარად მიეკუთვნება ევროსკეპტიკების კატეგორიას (Hargitai, 2020). უნგრეთის სახელისუფლებო პარტიის კლასიფიცირებასთან დაკავშირებით მრავალი პრობლემა არსებობს და რთულია იმის განსაზღვრა, თუ რეალურად რომელ ნაწილში არიან ისინი, თუმცა შესაძლებელია ითქვას, რომ მათი კლასიფიცირება შჩრებიაკისა და ტაგარტის კლასიფიკაციით „რბილ“ ევროსკეპტიკებში, ხოლო მუდესა და კოპეცკის კლასიფიკაციაში, როგორც ევროპესიმისტების „სუსტი“ ევროსკეპტიკების კლასიფიკაციაში ხვდებიან, ისინი კი უჭერენ ევროინტეგრაციას მხარს, თუმცა ეწინააღმდეგებიან მის პოლიტიკას (Hargitai, 2020). მაშასადამე, თუკი გამომუღავნდა მნიშვნელოვანი მსგავსება უნგრეთსა და საქართველოს საგარეო და შიდა პოლიტიკურ რიტორიკასა და ქმედებებში, მაშინ ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ უნგრეთის მსგავსად (რომელიც ცალსახა ევროსკეპტიკურ ნაწილს მიეკუთვნება) საქართველოც კლასიფიკაციაში იდენტიფიცირდება როგორც, ერთი მხრივ, „რბილი“ ევროსკეპტიკური ძალა, ისე, მეორე მხრივ, ევროპესიმისტის „სუსტი“ აქტორი, რომელიც მხარს უჭერს ევროინტეგრაციას, თუმცა ეწინააღმდეგება მის პოლიტიკურ კურსსა და მიმართულებას.

ევროსკეპტიციზმის დასაბამი და უნგრეთის ქეისი

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დანგრევისა და ევროპული ოჯახის გაფართოების შემდეგ, სამწუხაროდ, ევროპული ოჯახის დიდ ნაწილსა და განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელშიც ახლად გაფართოვდა ევროკავშირი, გააქტიურდა „ევროსკეპტიკური“ დამოკიდებულებები. ზოგადად ისტორიის განმავლობაში ყველაზე ევროსკეპტიკურ სახელმწიფოდ დიდი ბრიტანეთი განიხილებოდა, რომელიც ხშირად ბლოკავდა ან უარს ამბობდა ამა თუ იმ ევროკავშირის კანონმდებლობის მიღებაზე (Brack & Startin, 2015). საბოლოოდ, ბრიტანეთის ევროსკეპტიკურობა იმაში გამოიხატა, რომ სახელმწიფომ საერთოდ დატოვა ევროგაერთიანება და ჩამოსცილდა მას რეფერენდუმის საფუძველზე, რომლის დროსაც ხმათა უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ბრიტანეთს თავისი გზით უნდა ევლო (Archick, 2023). ბრიტანეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც რეფერენდუმი ჩატარდა იმის თაობაზე, უნდა დარჩენილიყო ქვეყანა ევროგაერთიანებაში თუ არა (Archick, 2023). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ევროსკეპტიკური აფეთქება, მკვლევართა აზრით, 2014 წლის არჩევნების დროს მოხდა, როდესაც მრავალი რადიკალური ძალა უკვე იმდენად იყო გაძლიერებული, რომ ჰქონდათ სრული პრეტენზია ევროგაერთიანების

კანონშემოქმედებაში მიეღოთ მონაწილეობა. ასეთ ძალას წარმოადგენდა ძირითადად ულტრამემარჯვენეები, რომლებიც ნამდვილად გამოირჩეოდნენ სხვა პოლიტიკური აქტორებისგან ძალადობისა და სიძულვილის ენის გავრცელებით, ზოგადად, ევროსკეპტიკური გამოსვლებით (Brack & Startin, 2015).

მიუხედავად იმისა, რომ ევროსკეპტიკურობა ევროპის დასავლეთ ნაწილშიც საკმაოდ განვითარებული მოვლენაა, ყველაზე ცხადად და ნათლად ის მაინც პოსტკომუნისტური ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში შეინიშნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნგრეთისა და პოლონეთის მთავრობების ევროსკეპტიკურობა, რაც უკვე მრავალი წელია გრძელდება (LÁZÁR, 2015). ორივე ხელისუფლებისგან ხშირად მოვისმენთ "Anti-EU Policy" განცხადებებს, რომლებიც უშუალოდ არღვევს და ლახავს ევროგაერთიანების შინაარსსა და ღირებულებებს. უნგრეთის მთავრობა ვიქტორ ორბანის ხელმძღვანელობით გამოირჩევა ევროსკეპტიკური და ანტიდასავლური განცხადებებით, რომელთა დიდი და ძირითადი ნაწილი მის „კონსერვატიულ" ღირებულებებზეა დაშენებული (Archick, 2023). ვიქტორ ორბანის მთავრობა და მისი „კონსერვატიული" ფრთა ყველაზე მეტად მას შემდეგ გააქტიურდა, რაც რუსეთ-უკრაინას შორის 2014 წელს პირველი შეტაკებები დაიწყო და ასევე გააქტიურდა მიგრაციის პრობლემა ევროპაში. ორბანმა უარი განაცხადა სანქციებზე პაკეტების მიერთებაზე და ამას რუსეთ-ევროპული ურთიერთობების ტრაგიკული ფურცელი უწოდა, ასევე ცივი უარით გაისტუმრა ევროპის კარზე მომდგარი მიგრანტების დიდი ნაწილი, „რასის" დაცვის მიზეზით (Danaj, Lazanyi, & Bilan, 2018). ვიქტორ ორბანი მკვეთრად აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას მიმდინარე მოვლენებზე და უარს აცხადებდა სანქციებზე მიერთებაზე, ასევე დღემდე აკრიტიკებს ევროპულ მთავრობებს ევროპის „გარყვნისთვის" (Végh, Hungary: The EU's troublemaker, 2016). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისთვის ვიქტორ ორბანს ზუსტად იდენტური რიტორიკა აქვს, სანქციებთან დაკავშირებით მოსაზრებას კი აბსოლუტურად ემხრობა ჩვენი პრემიერიც (CPAC, 2023). მათი აზრით, სანქციებზე მიერთება და რუსეთის წინააღმდეგ აქტიური გამოსვლა დამღუპველი იქნება მათი ეკონომიკისა და ხალხისთვის.

საქართველო და უნგრეთი; ევროსკეპტიკური მთავრობები?

როგორც წესი, ევროსკეპტიკურობის შესწავლა და ანალიზი წლების განმავლობაში თვითონ ევროკავშირის შიგნით მიმდინარეობდა და ნაკლებად მოიაზრებდა პოტენციურ წევრებსა და კანდიდატ ქვეყნებს (Tabatadze, 2022). თუმცა, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა და ევროკავშირის უპრეცედენტო გაფართოებამ კვლევები ევროსკეპტიკურობის კუთხით, ევროკავშირის მიღმა, პოტენციურად წევრი ქვეყნების მიმართულებითაც გააღრმავა. ერთ-ერთი ასეთი „პოტენციალის" მქონე ქვეყანა საქართველოა, სადაც ხშირია შიდაპოლიტიკური ძვრები და გაორებული გრძნობები, ევროინტეგრაციის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ კვლევების საფუძველზე მმართველი გუნდი მიესალმება ევროინტეგრაციასა და ევროპული ოჯახის წევრობას (Tabatadze, 2022). ეს მოცემულობას სულაც არ ცვლის, რომ ჩვენ შეგვიძლია „ქართული ოცნების" იდენტიფიცირება, როგორც „რბილი" ევროსკეპტიკეპის. ზემოთ თქმულს ის მოსაზრებაც ამყარებს, რომ ღარიბაშვილისა და ორბანის სახელისუფლებო რიტორიკა არსებითად ემთხვევა ერთმანეთს (CPAC, 2023). სამთავრობო ვიზიტისას ღარიბაშვილმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე აღნიშნა:

„ჩვენ და ჩვენმა მთავრობამ ძალიან ბევრი გადმოვიღეთ თქვენგან“, ასევე საუბრობდა რეფორმების საკითხებზე: „უნგრეთის რეფორმები ჩვენთვის სამაგალითოა“ (Georgian PM hails Orbán as “wise, visionary national leader” at CPAC Conference, 2023). კონსერვატორთა ფორუმზე (CPAC) დასმული აქცენტები, რომლებიც აშკარად და თვალნათლივ შეიცავდა ევროკავშირის პოლიტიკის საწინააღმდეგო რიტორიკას, ასევე გვაფიქრებინებს, რომ ორივე ხელისუფლება ამ მიმართულებით საკმაოდ „უგებს“ ერთმანეთს (პერტაია, 2023). უნდა ითქვას, რომ ღარიბაშვილმა აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობის დროს ფაქტობრივად ერთხელაც არ ახსენა რუსული ოკუპაცია და ტერიტორიული გამოწვევები, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას, ამის მაგივრად ღარიბაშვილი საუბრობდა „ნატურალურ“ ოჯახზე უმცირესობათა გავლენის შესახებ, რაც საქართველოში უმთავრეს და წამყვან პრობლემას საერთოდაც არ წარმოადგენს (გვინდაძე, 2023).

უნგრეთის ხელისუფლება ევროპული ძალების დასასუსტებლად და ინფილტრაციისთვის, მართლაც, მიმართავს ისეთ ძალებს, როგორებიცაა რადიკალური მემარჯვენე ფრთა „Jobbik” და სხვა მცირე ჯგუფებს, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირდებიან, როგორც „ხისტი“ ევროსკეპტიკები (LÁZÁR, 2015). საქართველოს მთავრობა ამ ნაწილშიც საკმაოდ წააგავს „Fidesz”-ს. ნათელია, რომ ქვეყანაში იკვეთება მრავალი ევროსკეპტიკური ულტრამემარჯვენე ძალა, რომლებიც პარლამენტშიც მოხვდა (2016წ) და ასევე აქტიურად ეწინააღმდეგება სხვადასხვა ევროპულ ღონისძიებას (Silagadze, Is Georgian Populism Eurosceptic, 2020). კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მთავრობა ანგარიშს უწევს ასეთ ძალებს და ხშირად საკუთარი პოლიტიკის გატარებისთვის იყენებს (Tabatadze, 2022). ამასთანავე, სამთავრობო ევროსკეპტიკურობის გამოკვლევა სწორედ იმის საფუძველზე შეგვიძლია, თუ როგორ რეაგირებს მმართველი გუნდი სხვადასხვა რადიკალურ ჯგუფზე, რომლებიც ნამდვილად ევროსკეპტიკურები არიან (Hargitai, 2020). უნგრეთის მაგალითი კარგად წარმოაჩენს იმ მოცემულობას, რომ არსებული მმართველი პარტია „Fidesz” შესაძლოა დიდად ლოიალური არა არის კონკურენტი „Jobbik”-ის მიმართ, თუმცა აძლევს თავისუფალ არეალსა და განვითარების საშუალებას (რამდენჯერმე ევროკავშირის პოლიტიკაც კი დაიბლოკა „Fidesz”-ის მიერ, რომელიც აშკარად იყო „Jobbik”-ის საწინააღმდეგოდ მიმართული) და რაც გვაფიქრებინებს, რომ არსებული გუნდისთვის ხელსაყრელია მსგავსი რადიკალი ევროსკეპტიკების არსებობა, რათა თავად პოზიციონირდეს, როგორც „რბილი“ ძალა, და არ დაკარგოს პროევროპული ამომრჩეველი (Hargitai, 2020). ცხრილის სახით წარმოდგენილია „Jobbik”-ის განვითარების დინამიკა 2006-2018 წლებში. გასათვალისწინებელია, რომ „Fidesz” ხელისუფლებაში 2010 წელს მოდის.

2006 წლის საპარლამენტო	2010 წლის საპარალამენტო	2014 წლის საპარალამენტო	2018 წლის საპარალამენტო
SMCs: 1.72% (#6) MMCs: 2.2% (#5)	SMCs: 16.36% (#3) MMCs: 16.67 (#3)	SMCs: 20.39% (#3) MMCs: 20.22% (#3)	SMCs: 23.20% (#2) MMCs: 19.06 (#2)

ცხრილი 3# (წყარო: Electoral Geography)

იგივე მოცემულობა არსებობს საქართველოში ალტ-ინფოსა და ქართული მარშის, ასევე პატრიოტთა ალიანსის მიმართებით. საქმე ისაა, რომ ხელისუფლება ხშირად მინიმალურ დაბრკოლებას უქმნის ასეთ ჯგუფებს, რათა საკუთარი თავის პოზიციონირება შეძლოს (Silagadze, Is Georgian Populism Eurosceptic, 2020). პრემიერისგან ვერ მოისმენთ ერთ განცხადებასაც კი რადიკალური ანტიევროპული ჯგუფების საწინააღმდეგოდ, რაც გვაფიქრებინებს, რომ „Fidesz"-ის მსგავსად, „ქართული ოცნებაც" რადიკალურ ჯგუფებს საკუთარი ევროსკეპტიკურობის „შესარბილებლად" იყენებს და ცდილობს მკვეთრად ევროოპტიმისტი ამომრჩეველიც შეინარჩუნოს.

უნგრეთი და საქართველო; ღარიბაშვილი და ორბანი

მკვლევართა დიდი ნაწილი უნგრეთის მთავრობას, როგორც „რბილ" ევროსკეპტიკურ აქტორს ისე მოიხსენიებს. ბოლო კვლევებმა და ანალიზმა აჩვენა, რომ უნგრეთის „Fidesz", რომელიც საკუთარ თავს კონსერვატიულ მოძრაობად მოიხსენიებს, არის „რბილი" ევროსკეპტიკური ძალა, რომლის მთავარი მიზანი არა ევროკავშირის ნგრევა, არამედ მისი „სათავისოდ" ტრანსფორმირებაა (Hargitai, 2020). აღსანიშნავია, რომ უნგრულ-ქართული აქცენტები ამ მხრივ საკმაოდ ემთხვევა ერთმანეთს - ორივე სახელმწიფოს მთავრობების კონსერვატიული რიტორიკა, შიდა პოლიტიკურ სივრცესა და მის გარეთ, თითქმის იდენტურია (სამხარაძე, 2023). ორივე ხელისუფლება ხაზს უსვამს ოჯახის სიწმინდესა და რელიგიას, როგორც საზოგადოების მამოძრავებელ ზამბარას (CPAC, 2023). „Freedom House"-ის მონაცემებით ორივე ქვეყანა „ნაწილობრივ თავისუფალ" სახელმწიფოდ იდენტიფიცირდება. 2023 წლის მონაცემებით, უნგრეთს 43 ქულა (Végh, Hungary - Country Report, 2023). ხოლო საქართველოს 34 ქულა ენიჭება (Anonymous, 2023). ევროკავშირის წევრებსა და პოტენციურად შემავალ ქვეყნებს საშუალოდ 15-20 ქულით მეტი ქულა აქვთ, ვიდრე საქართველოსა და უნგრეთს. ორივე ქვეყანას მნიშვნელოვანი მსგავსებები ახასიათებს სახელისუფლებო ევროსკეპტიკური განცხადებებისა და პოლიტიკის/გადაწყვეტილებების მხრივ (Danaj, Lazanyi, & Bilan, 2018). ორივე თავის თავს „კონსერვატიულ" ძალად აღიქვამს, რომელთა მთავარ მამოძრავებელ „ზამბარად" ოჯახის ინსტიტუტის დაცვა და სოციალური კეთილდღეობა მოიაზრება, რაც გაისმა კიდეც კონსერვატიულ ფორუმზე 2023 წელს (CPAC, 2023).

არსებითია მსგავსება ასევე უნგრეთსა და საქართველოს სახელისუფლებო დამოკიდებულებას შორის, რუსეთ-უკრაინის ომისა და სანქციების კუთხით. მსგავსება იკვეთება რუსეთის „არგაღიზიანების" პოლიტიკისა და რადიკალურ უმცირესობათა ჯგუფების მხარდაჭერაში (CPAC, 2023). რადიკალური ჯგუფების მხარდაჭერა ყველაზე კარგად გვხვდება უნგრეთში, სადაც „Fidesz" მიზანმიმართულად უმართავს ხელს ასეთ ჯგუფებს და განსაკუთრებით „Jobbik"-ს, რომელიც წარმოადგენს მკვეთრად „ხისტ" ევროსკეპტიკურ ძალას (Kreko & Mayer, 2015).

ორივე პრემიერი არსებითად ერთსა და იმავე კრიტიკულ აქცენტებს სვამს, ერთი მხრივ, ევროპული პოლიტიკის, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციის მიმართებით (გვინდაძე, 2023). ღარიბაშვილისა და ორბანის „კონსერვატიული“ ღირებულებების დამთხვევის კულმინაციას წარმოადგენს კონსერვატორთა ფორუმზე დასმული აქცენტები, რომლებიც ოჯახის, როგორც ინსტიტუტის, დაცვის კუთხით გაისმა (CPAC, 2023). ასევე განსაკუთრებული მსგავსება გამოიკვეთა ფორუმზე იმის თაობაზე, რომ ლიბერალიზმი არსებით საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნების სუვერენიტეტის შენარჩუნების მხრივ და რომ „კონსერვატიული“ მშვიდობის მშენებლობა მნიშვნელოვანია მომავლისთვის (გვინდაძე, 2023). ლიბერალიზმის დემონიზება ზოგადად ყველა „ხისტ“ თუ „რბილ“ ევროსკეპტიკოსებს ახასიათებთ, თითოეულ ქვეყანაში ამის ნათელი ილუსტრაციაა „Jobbik” - რადიკალური გაერთიანება (Kreko & Mayer, 2015).

ფაქტია, რომ „რბილი“ ევროსკეპტიკური სახელისუფლებო რიტორიკა და დამოკიდებულება ორივე ქვეყანას მნიშვნელოვნად აზარალებს, განსაკუთრებით კი საქართველოს, რომლის მოქალაქეებისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრობა და ევროინტეგრაცია (Silagadze, Eurosceptic, therefore, Pro-Russian?, 2021).

როგორც უნგრეთში, ისე საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი საკმაოდ ფრთხილია ცვლილებების მიმართ, ხოლო ხელისუფლების რიტორიკაც გვაფიქრებინებს, რომ სწორედ ამ სიფრთხილესა და კომპლექსებს იყენებს საკუთარი ელექტორალური ბაზის გასაზრდელად, ეს შენიშნა სამოქალაქო აქტივისტმა ნ. რუხაძემ, როდესაც ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ქართული ოცნება საკმაოდ ეფექტურად იყენებს მსგავს შიშებს სათავისოდ, რათა ელექტორალური ბაზა გაზარდოს, იმავეს მიუთითებს ევროპული საქართველოს ლიდერი გ. ბოკერია ჩვენთან საუბრისას და აღნიშნავს, რომ მსგავსი შიშებით სპეკულირება რუსული და, ამავდროულად, ორბანის სკოლაცაა. მართლაც, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ როგორც საქართველოში, ისე უნგრეთში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელისუფლება მიზანმიმართულად ამახინჯებს გარკვეულ საკითხებს, რათა ფაქტები სათავისოდ გამოიყენოს და ამ გზავნილების დამახინჯებაში ხშირად იყენებს ულტრამემარჯვენე ძალებს, იმავე უნგრეთში ხშირია, როდესაც „Fidesz” მის კონკურენტ „Jobbik”-ს მაშველ რგოლად იყენებს (Kreko & Mayer, 2015). ამ საკითხზე საკმაოდ საინტერესო შეხედულება გააჩნია ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტსა და ანალიტიკოსს გ. თარგამაძეს, რომელიც თვლის, რომ როგორც უნგრეთში, ისე საქართველოში ხელისუფლებები რადიკალურ ჯგუფებს იმისთვის იყენებენ, რომ საკუთარი თავის პოზიციონირება „შუაშისტებად“ მოახერხონ და ამით არ დაკარგონ ელექტორატი. მისი აზრით, ჩვენს მოცემულობაში ამ როლს ქართული მარში, ალტ-ინფო და მსგავსი ორგანიზაციები ასრულებენ.

ორივე ქვეყენაში ასევე იკვეთება სასამართლო სტრუქტურის მიკერძოებულობა (Anonymous, 2023). რაც საპარლამენტო უმრავლესობებითაა შესაძლებელი (Végh, Hungary - Country Report, 2023). ასევე საქართველოში სასამართლო ხელისფულების შიდა პრობლემებზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ სულ ახლახან რამდენიმე მოსამართლე დასანქცირდა (Boffey, 2023). გ. ბოკერიას აზრით, სასამართლოს მიკერძოება უნგრეთშიც შესამჩნევია, როდესაც ამას ორბანი

პირდაპირ და ღიად იყენებს თავისი კონკურენტი პროევროპული ძალების დევნისთვის და ამ მხრივ ეს პროცესი მსგავსია საქართველოსა და უნგრეთში.

საქართველოს კონტექსტსა და მოცემულობაში „რბილი“ ევროსკეპტიკურობაც a priori ნიშნავს ქვეყნის სამომავლო ევროინტეგრაციაზე საბოლოოდ უარის თქმას (Silagadze, Eurosceptic, therefore, Pro-Russian?, 2021). მიუხედავად იმისა, რომ ღარიბაშვილის მთავრობა და მმართველი გუნდი აღიარებს, რომ ქვეყანამ უნდა გადადგას ნაბიჯი ევროინტეგრაციის კუთხით, მეორე წუთს იკვეთება გარკვეული აგრესიული ტონი ევროპული პოლიტიკის მიმართ (გვინდაძე, 2023).

მოსახელობის აბსოლუტური უმრავლესობა რეალურად (80%) აქტიურად უჭერს მხარს ევროინტეგრაციასა და ევროკავშირში გაერთიანებას, რაზედაც NDI კვლევაც მიუთითებს (საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023). მსჯელობათა მიმართულების ერთი ნაწილი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ორბანის მსგავსად ქართული პოლიტიკური მმართველი ელიტა აშკარად მიიწევს იმისკენ, რომ ძალაუფლება მაქსიმალურად კონცენტრირებული ჰქონდეს ერთ წერტილში და ეს მოცემულობა სათავისოდ გამოიყენოს (Kakachia, 2022). ანუ შეინარჩუნოს საკვანძო პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრები და ამით ძალაუფლება გაიმყაროს (სამხარაძე, 2023). ხოლო, მეორე მხრივ, დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპისგან ოდნავი დაშორება პრაგმატული პოლიტიკის ნაწილია, რომლის მიზანიც გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპაში გაერთიანებაა - ისე, რომ არ მოხდეს რუსული მხარის გაღიზიანება (სამხარაძე, 2023). ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებისას, სახელისუფლებო პირებისგან, მათ შორის ღარიბაშვილისგან, ხშირად მოვისმენდით ისეთ განცხადებას, როგორიცაა: „ასეთი კანონი ორბანსაც აქვს მიღებული... უნგრული კანონია“, შესაბამისად, თუკი ორბანი დასავლეთში ერთმნიშვნელოვნად ასოცირებულია ევროპული ოჯახის ტროას ცხენთან და „რბილი“ ევროსკეპტიკური ფრთის წინამძღვრად, მაშინ ნათელია, რომ ჩვენი ხელისუფლებაც, რა თქმა უნდა, ხვდება „რბილი“ ევროსკეპტიკების კატეგორიათა ბლოკში.

ორბანისა და ღარიბაშვილის პოლიტიკა და რიტორიკა არსებითად მსგავსია, მაგალითად, ორბანის 2023 წლის 17 მაისის განცხადება უკრაინისთვის იარაღის გადაცემასთან დაკავშირებით, სრულად ჯდება ღარიბაშვილის რიტორიკაში და პირიქით. მათი აზრით, რუსეთის გაღიზიანება a priori ნიშნავს მათ განადგურებას (გვინდაძე, 2023). საინტერესოა ერთობლივ ფორუმზე ვიქტორ ორბანის განცხადება, მან ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკა ყველაზე პრაგმატულ და სამაგალითო პოლიტიკად აღიარა, რუსეთთან ურთიერთობის კუთხით (CPAC, 2023). მისი აზრით, საქართველო ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება რუსეთის „ჩრდილქვეშ“ ცხოვრება (ტაბულა, 2023). ღარიბაშვილის განცხადებამაც არ დააყოვნა და აღნიშნა, რომ საქართველო ბევრს სწვალობს უნგრული „პოლიტიკისგან“ (CPAC, 2023). აქ საყურადღებო ის მოცემულობაა, რომ უნგრეთი ევროზონის ტროას ცხენთანაა გაიგივებული და „Fidesz”, რომელიც წარმოადგენს აშკარად „რბილ“ ევროსკეპტიკურ ძალას არ შეიძლება იმ ქვეყნისთვის სამაგალითო იყოს, რომელსაც ევროკავშირში გაერთიანება სურს (Hargitai, 2020). ამის თაობაზე საკმაოდ სიანტერესო მოსაზრება გააჩნდა ჩვენს ერთ-ერთ რესპოდენტ გიგა ბოკერიას, რომელიც პარტია ევროპული საქართველოს ლიდერია. მისი აზრით, არსებული ხელისუფლება არაა ეფექტიანი საზოგადოებრივი ლობისტი, რადგან ვერ ან სპეციალურად არ არჩევს იმ აქტორებთან

საუბარს, რომელიც რეალურად წაადგება ჩვენს ქვეყანას. ბოკერია ფიქრობს, რომ მიუხედავად კონსერვატიულ ფორუმში ჩართვისა, ღარიბაშვილმა აქცენტებიც არასწორად დასვა და ისეთ თემაზე დაიწყო საუბარი, რომელიც რეალურად არ დგას ჩვენი ქვეყნის მთავარ გამოწვევად და მეინსტრიმულ პრობლემად. მართლაც, თუკი ფორუმზე დასმულ აქცენტებს გადავხედავთ ღარიბაშვილმა ერთხელაც კი არ ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომლებიც საქართველოში არსებობს ოკუპაციის კუთხით - ამის მაგივრად იგი საუბრობდა ოჯახის სიწმინდისა და ლიბერალური ნეგატიური ნარატივის „უარყოფით“ გავლენაზე (გვინდაძე, 2023). იმავე ნარატივით გამოირჩევა უნგრეთის პრემიერიც, რომელიც არარეალურ ეკონომიკურ პრობლემებსა და ულტრამემარჯვენე ძალების აღზევებაზე საუბრობდა, არამედ აქცენტს სულ სხვა საკითხებზე ამახვილებდა, რაც საერთოდ არ წარმოადგენს მეინსტრიმულ პრობლემას (CPAC, 2023).

საინტერესო მოსაზრება გააჩნია ღარიბაშვილის პოზიციონირებასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, ბ-ნ ზვიად აბაშიძეს. მისი აზრით, უნგრეთის ასეთი პოზიციონირება უფრო გასაგებია, რადგან უკვე არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა და იმყოფება კონტინენტური ევროპის ცენტრალურ ნაწილში, რაც მას „მორალურ“ უფლებას აძლევს ევროგაერთიანების რაობის მიმართულებით ღია დისკუსიაში ჩაერთოს, ხოლო საქართველოს დამატებითი ძალისხმევა სჭირდება, რათა საკუთარი თავის დამკვიდრება შეძლოს, როგორც ევოპული ქვეყანა. ასევე, მისი აზრით, დასავლურ დემოკრატიებში ორბანის ხელისუფლება აღარ განიხილება კონსოლიდირებულ დემოკრატიად და მასთან თანამშრომლობა წამგებიანი და არაპრაგმატული ნაბიჯია. მართლაც, შეგვიძლია რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ, როდესაც ვიქტორ ორბანთან დაახლოებას საკმაოდ მძიმე შეფასებები მოჰყვა ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი ბალტიისპირეთის წარმომადგენლებისა და ევროპალამენტარებისგან. ფაქტია, რომ მათი ნარატივი ერთი მეინსტრიმულ გზავნილზე იყო აგებული - საქართველო ამით იმ ტოტს ჭრის, რომელზეც თვითონვე ზის (Temnycky, 2023).

მსგავსება იკვეთება, ასევე საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ, ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებისას, რომელიც საბოლოოდ ჩავარდა (პერტაია, 2023). ღარიბაშვილის განცხადებების მოსმენისას, რამდენჯერმე იყო ისეთი განცხადება, რომ მსგავსი კანონი არსებობს ევროკავშირის წევრ უნგრეთშიც. კანონის მიღება უნგრეთში 2017 წელს მოხდა, რასაც არაერთი კრიტიკა და შეშფოთება მოჰყვა ევროკავშირის ქვეყნებში (პერტაია, 2023). ასევე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ არსებული კანონი ემსახურებოდა პოლიტიკური ოპონენტების დევნის ინსტრუმენტს, კერძოდ, ჯორჯ სოროსის ფონდის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი ორბანისეული დევნის მექანიზმს (პერტაია, 2023).

საინტერესო მონაკვეთია ასევე 2023 წლის 12 მაისს ორბანის განცხადება (Zoltan, 2023). რომელშიც მან პირდაპირ გაიშვირა ხელი ევროკავშირის წინააღმდეგ და დაეჭვდა მის ეფექტიანობასა და მიზნებში (Zoltan, 2023). რამდენიმე დღეში ღარიბაშვილი გამოდის და ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტს თითქმის იმავეს ეუბნება, თუმცა მეტი სიმძაფრითა და კრიტიციზმით: „სჯობს ევროპარლამენტმა საკუთარ თავს მიხედოს“ (ტაბულა,2023). ორბანისა და ღარიბაშვილის ურთიერთკავშირზე საკმაოდ საინტერესო მოსაზრება გააჩნია პარლამენტის წევრსა და პარტია „გირჩის“ თავჯდომარე ი. ხვიჩიას, რომელიც ამბობს, რომ ამ ორი ადამიანის კავშირს უბრალოდ

„სიგიჟეს“ აბრალებს. მისი აზრით, წარმოუდგენელია, რომ ქართულ ოცნებას და განსაკუთრებით ღარიბაშვილს რაიმე მოგება დარჩეს „მაგ თამაშიდან“. მართლაც, თუ გადავხედავთ წარსულის გამოცდილებას, დავინახავთ, რომ ორბანთან პოზიციონირება ყველა პოლიტიკური აქტორისთვის საკმაოდ წამგებიანი იყო. იმავე წინა ხელისუფლების დროს ორბანის ვიზიტი საკმაოდ ნეგატიურად შეფასდა პოლიტიკური აქტორების მხრიდან და იმავე შიდაპოლიტიკურ სივრცეშიც (Temnycky, 2023).

საინტერესო იყო ვიქტორ ორბანის 2022 წლის 24 ივნისის განცხადება, როდესაც იგი რასისტული განცხადებებითა და „რასების“ აღრევის მესიჯბოქსებით სპეკულირებდა (Walker, 2022). მსგავსი განცხადება ირაკლი ღარიბაშვილის რიტორიკაშიც არაერთხელ შენიშნულა, როდესაც იგი აშკარად მიუთითებდა, რომ „ქართული“ იდენტობის შენარჩუნება და აყვავება მნიშვნელოვანია, ასევე უმცირესობის უმრავლესობაზე ბატონობა დანაშაულია, რაც, რა თქმა უნდა, შეიცავდა სიძულვილის ენის ელემენტებს (ტაბულა, 2023). ღარიბაშვილისა და ორბანის რიტორიკა, „ოჯახის“ სიწმინდისა და ლიბერალური გარყვნილების თვალსაზრისით, თითქმის იდენტურია (ტაბულა, 2023). ორივე როგორც ღარიბაშვილი, ისე ორბანი ხშირად სპეკულირებს ლიბერალური იდეოლოგიის დემონიზებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითქოს ლიბერალური იდენტობა მათ ხალხებს იდენტობას აკარგვინებს, რაც, ცხადია, არის ევროსკეპტიკური და ანტიევროპული განაცხადი (გვინდაძე, 2023).

თანხვედრა იკვეთება ორბანსა და ღარიბაშვილს შორის LGBT+ უმცირესობებთან დაკავშირებით. ორივე პირი ამ ნაწილში ევროპას ადანაშაულებს და თვლის, რომ თითქოს მსგავსი ჯგუფების პოპულარიზაციასა და პროპაგანდას დასავლური ლიბერალური ქვეყნები ცდილობენ (Than, 2020). აღსანიშნავია, რომ ღარიბაშვილმა თავის სიტყვაში არაერთხელ ახსენა „ბავშვებზე გაწეული პროპაგანდა“ (გვინდაძე, 2023). ზუსტად იდენტური რიტორიკა იკვეთება ორბანის განცხადებებში, რომლებიც უფრო ძველია, კერძოდ, 2020 წელს მიღებული. ახალ საბავშვო სახელმძღვანელოებს ვიქტორ ორბანმა „ჰომოსექსუალური პროპაგანდა“ უწოდა (Than, 2020).

მსგავსება იკვეთება ევროპარლამენტარებისა და ზოგადად ევროკავშირის წარმომადგენლების რჩევების კრიტიკის კუთხითაც (Danaj, Lazanyi, & Bilan, 2018). ორბანი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თითქოს ევროკავშირის ქვეყნები „ცხვირს“ ყოფენ უნგრულ საქმეებში, რაც ყველაზე უკეთ რეალურად უნგრელმა ხალხმა და მათმა „ხელისუფლებამ“ (აქ საკუთარ თავს გულისხობს) იცის (Zerofsky, 2019). იმავეზე აპელირებს ირაკლი ღარიბაშვილიც, თითქოს ქართველი ხალხის მიერ ხელდასმულმა მთავრობამ უკეთ იცის, თუ როგორ წარმართავს ქვეყნის ბედს.

ნათელია, რომ ღარიბაშვილისა და ორბანის განცხადებების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ფართო დინამიკა ზოგადად ხელისუფლებათა შორის, რომელიც უმეტესად ემთხვევა ერთმანეთს, რაც გვაფიქრებინებს, რა თქმა უნდა, რომ ქართული სახელისუფლებო ელიტა, უნგრულის მსგავსად, არის „რბილი“ ევროსკეპტიკური ძალა.

დასკვნა

არსებული რიტორიკისა და ქმედებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნგრეთის მსგავსად საქართველოს ხელისუფლება წარმოადგენს „რბილ“ ევროსკეპტიკურ ძალას, ხოლო მუდესა და კოპეცკის კლასიფიკაციით, ევროპესიმისტების „სუსტ“ ბლოკში კლასიფიცირდებიან, რომელშიც უნგრეთი პოზიციონირებს. კვლევიდან გამოიკვეთა რეალურად ის გარემოება, რომ საქართველოს ხელისუფლება, როგორც ევროსკეპტიკური ძალა, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან უმოკლეს დროში გამოაშკარავდა. გამოიკვეთა მსგავსებები ორბანისა და ღარიბაშვილის განცხადებებში, რომლებშიც უფრო ხშირად ამა თუ იმ განცხადების პიონერი ორბანი, ხოლო შემდეგ ამთვისებელი ღარიბაშვილი იყო.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლებათა და მაღალჩინოსანთა რიტორიკა და ქმედებები პრაქტიკულად იდენტურია. გამოიყოფა რამდენიმე ასპექტი - ოჯახის „სიწმინდით“ სპეკულირება, საერთო შინაარსისა და კრიტიკის მქონე განცხადებები ევროკავშირის მიმართ, ერთნაირი დამოკიდებულება ულტრამემარჯვენე ძალებისა და მათი საქმიანობის მიმართ, კონკურენტი პოლიტიკური პარტიების დევნა და უმცირესობებზე მიზანმიმართული თავდასხმა, ასევე კულტურული ნარატივის მქონე განცხადებები არის ის საერთო რგოლი, რომელიც ორბანსა და ღარიბაშვილს, მაშასადამე, უნგრეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს ახასიათებთ.

ბიბლიოგრაფია

Archick, K. (2023). *The European Union: Questions and Answers.* Congressional Research Servise.

Végh, Z. (2016). *Hungary: The EU's troublemaker.* JSTOR.

Taggart, P., & Szczerbiak, A. (2002). *The Party Politics of Euroscepticism in EU Member and Candidate States.* Research Gate.

Hargitai, T. (2020). *How Eurosceptic is Fidesz actually?* Politics in Central Europe.

Mudde, C., & Kopecky, P. (2002). *The Two Sides of Euroscepticism. Party Positions on European Integration in East Central Europe.* Sage Publications.

LÁZÁR, N. (2015). *EUROSCEPTICISM IN HUNGARY AND POLAND:: A COMPARATIVE ANALYSIS OF JOBBIK AND THE LAW AND JUSTICE PARTIES.* Budapest: Księgarnia Akademicka.

Silagadze, G. (2021). *Eurosceptic, therefore, Pro-Russian?* Tbilisi: Georgian Institute of Politics.

(2023). *საზოგადოების განწყობა საქართველოში.* National Democratic Institute. CRRC Georgia.

Silagadze, G. (2020). *Is Georgian Populism Eurosceptic.* Tbilisi: Georgian Institute of Politics.

Brack, N., & Startin, N. (2015). *Euroscepticism, from the margins to the mainstream.* Sage Publications.

Taggart, P., & Szczerbiak, A. (2002). *Europeanisation, euroscepticism and party systems: Party- based euroscepticism in the candidate states of Central and Eastern Europe (Eximine).* Routledge - Taylor & Francis Groug.

Kreko, P., & Mayer, G. (2015). *Transforming Hungary - Together? An anlysis of Fidesz - Jobbik Relationship.* Research gate.

Zoltan, S. (2023). Orban Ramps Up Anti-EU Rhetoric by Asking 'What's the Point?'. *Bloomerg*.

პერტაია, ლ. (2023, თებერვალი 28). *უნგრული გაკვეთილი „უცხოეთიდან დაფინანსებასა" და „აგენტებზე".* Retrieved from რადიო თავისუფლება.

Walker, S. (2022). *Viktor Orbán sparks outrage with attack on 'race mixing' in Europe*. Retrieved from The Guardian : https://www.theguardian.com/world/2022/jul/24/viktor-orban-against-race-mixing-europe-hungary

გვინდაძე, ს. (2023, მაისი 4). *ღარიბაშვილმა ბუდაპეშტში შეთქმულების თეორია გაავრცელა. კიდევ რა თქვა პრემიერმა.* Retrieved from ტაბულა: https://www.radiotavisupleba.ge/a/32394692.html

Than, K. (2020, Octomber 8). *Hungarian government calls new children's book 'homosexual propaganda', causing stir*. Retrieved from Reuters: https://www.reuters.com/article/us-hungary-lgbt-book-idUSKBN26T2WY

Anonymous. (2023). *Georgian - Country Report.* Freedom house.

Végh, Z. (2023). *Hungary - Country Report.* Freedom house.

Tabatadze, S. (2022). *Party-Based Euroscepticism: the case of Georgia.* Tbilisi: Demokratizatsiya: The Journal of Post-Soviet Democratization.

Zerofsky, E. (2019, January). *Viktor Orbán's Far-Right Vision for Europe.* Retrieved from The New Yorker: https://www.newyorker.com/magazine/2019/01/14/viktor-orbans-far-right-vision-for-europe

Temnycky, M. (2023, March 1). *Could Do Better, EU Tells Georgia.* Retrieved from Cepa : https://cepa.org/article/could-do-better-eu-tells-georgia/

CPAC. (2023). *Conservative political action conference 2023.* Budapest.

Danaj, A., Lazanyi, K., & Bilan, S. (2018). *Euroscepticism and populism in Hungary: The analysis of the prime minister's discourse.* Journal of International Studies.

ტაბულა. (2023, მაისი 9). *ღარიბაშვილი იმეორებს, რომ არ დაუშვებს "უმცირესობის ძალადობას უმრავლესობაზე".* Retrieved from ტაბულა: https://www.radiotavisupleba.ge/a/32402839.html

Georgian PM hails Orbán as "wise, visionary national leader" at CPAC Conference. (2023, May). Retrieved from Agenda.ge: https://agenda.ge/en/news/2023/1762

Boffey, D. (2023, April 12). *This article is more than 1 month old US puts sanctions on four Georgian judges over 'significant corruption'.* Retrieved from The Guardian: https://www.theguardian.com/world/2023/apr/12/us-puts-sanctions-on-four-georgian-judges-over-significant-corruption

სამხარაძე, ნ. (2023). *ქართული ოცნების პოპულისტური კონსერვატიზმი: ბრძოლა ლეგიტიმაციისა და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ნ.* თბილისი: Georgian Institute of Politics.

კრება, რ. (2004). *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი.* თბილისი: ლოგოს პრესი.

Kakachia, K. (2022). *What's Behind Georgian Dream's Anti-Western Rhetoric and Foreign Policy Behavior.* Tbilisi: Georgian Institute of Politics.